

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პროექტის “პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში” შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია

2006 წლის 1 მაისს სასტუმრო [] A პროექტის [] რწმუნებული ხალხის სამსახურში A შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ მასმედიის, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პრეზენტაციას სტუმრობდა იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომელი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუციური მონიტორინგის შედეგები და ფინანსური მონიტორინგის ანგარიში. დეტალურად იქნა განხილული რწმუნებულის ფონდის გაურკვეველი იურიდიული ბუნება და ფონდის აღმასრულებელი დირექციის მიერ კანონდარღვევით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები. ასევე საუბარი იყო შიდა ქართლში რწმუნებულის ადმინისტრაციის მხრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობასა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე. პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოება გაეცნო რწმუნებულის ფონდის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ კანონდარღვევებს.

შეხვედრის ბოლოს საზოგადოებას წარედგინა ზოგადი რეკომენდაციები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებს პროექტის მიმდინარეობის პროცესში აღმოჩენილი საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას.